

**სტუ-ს გამოყენებითი გეოლოგიის დეპარტამენტის
თანამშრომლები მონაწილეობენ ვარძიის სამონასტრო კომპლექსის
კვლევით სამუშაოებში**

საქართველოს ტერიტორია გამორჩეულია მრავალფეროვანი ბუნებრივი ძეგლებით, კლდეში ნაკვეთი ეკლესია-მონასტრებით და ქალაქებით.



ერთ-ერთ ასეთ გამორჩეულ და მსოფლიო მნიშვნელობის უნიკალურ ძეგლს წამოადგენს ვარძიის სამონასტრო კომპლექსი, რომელმაც, მართალია, რამდენიმე ასეულ წელს გაუძლო, მაგრამ დღევანდელი მდგომარეობით, ესაჭიროება კომპლექსური შესწავლა. სარესტავრაციო, კონსერვაციისა და გადაუდებელი დაცვითი სამუშაოები მიმდინარე წელს მთავრობის დადგენილების შესაბამისად დაიწყო. ვარძიის გადარჩენის სახელმწიფო პროგრამით დაწყებული სამუშაოების მიმდინარეობა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა, კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა, მიხეილ გიორგაძემ და ახალციხის, ტაო-კლარჯეთისა და ლაზეთის ეპარქიის მიტროპოლიტმა თეოდორემ შეაფასეს. ვარძიის ქვაბულში განთავსებულ საველე შტაბში ისინი უშუალოდ გაეცნენ პროექტის სამუშაო ჯგუფის წარმომადგენლებს და მოისმინეს ინფორმაცია მათ მიერ დაწყებული კვლევების შესახებ.



შტაბის სხდომაში მონაწილეობდნენ: კლაუდიო მარგოტინი – ჯგუფის ხელმძღვანელი, დანიელ სპიციკინი – ინჟინერი, პაოლო ფრატანი – გეოლოგი, ჯედეონ ტოლიონი – ინჟინერი, ლუკა ბენიტი – ინჟინერი, ლაზერული სკანირების ტექნოლოგი, მიხეილ ელაშვილი – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, მერაბ გაფრინდაშვილი – გარემოს დაცვის ეროვნული სააგენტო, ბეჟან თუთბერიძე – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ნოდარ ფოფორაძე – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი და ნანა კუპრაშვილი – ვარძიის კედლის მხატვრობის სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი – თბილისის სამხატვრო აკადემია.



საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი ჩართულია ვარძიის ამგები ქანების ფიზიკურ-მექანიკური თვისებების და გეოქიმიური მახასიათებლების შესწავლის საქმეში.